N 363 26/09/2019

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია"-ს**
**სხდომის ოქმი№3**

**ქ.ლანჩხუთი** **24.09.2019 წელი**

**სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია"-ს თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა.**
**ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: იოსებ ჩხაიძე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კახაბერ ასკურავა/

2. „გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კახაბერ ასკურავა/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კახაბერ ასკურავა/

4. სხვადასხვა.

**ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

**მომხრე 2, წინააღმდეგი არცერთი**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი–**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავჯდომარემ კახაბერ ასკურავამ.

**ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:**
**დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**მომხრე 2, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი-** „გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ. მან აღნიშნა, რომ გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის შემუშავების დროს საკრებულოს წევრებიც უნდა იყოს ჩართული. ასევე გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას იქ არსებული ინფრასტრუქტურა და მაგნიტური ქვიშის ზოლის დაცვა.
საკრებულოს წევრი იოსებ ჩხაიძე დაინტერესდა თუ ვინ იმუშავებს გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმაზე. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს დროებითი სამუშაო კომისია მუშაობდა გრიგოლეთის განვითარების გეგმის თაობაზე, ამიტომ უმჯობესია საკრებულოს წევრებიც იყვნენ ჩართულები აღნიშნული გეგმის შემუშავებაში, რათა მოხდეს ყველა დეტალის გათვალისწინება.

**ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:**
**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**მომხრე 2, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი-**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ.

**ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:**
**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**მომხრე 2, წინააღმდეგი არცერთი.**

**ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

კახაბერ ასკურავა

ფრაქციის თავმჯდომარე
ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, ძალა ერთობაშია'' წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

**24** სექტემბერი **2019** წელი
**12.00** საათი

| № | სახელი, გვარი | გამოცხადების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | კახაბერ ასკურავა | 11 30 | |
| 2 | იოსებ ჩხაიძე | 11 45 | |
| 3 | ლელა ჩახვაძე | | |